სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/100

ქ. თბილისი

4 აგვისტო 2022 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან პროგრამებზე აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის და მისი სამდივნოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს №01-05-02/24 სხდომის ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2022 წლის 05 აგვისტოს დიზაინის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან პროგრამებზე გამოცხადებული კონკურსით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის ასარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია და მისი სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

საკონკურსო კომისია:

1. პროფესორი გიორგი სალუქვაძე;
2. პროფესორი ნიკოლოზ შავიშვილი;
3. ასოცირებული პროფესორი ლიანა თარგამაძე;
4. სტუ-ის ხარისხის სამსახურის უფროსის მოადგილე ხათუნა მხეიძე;
5. სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ნონა გოგსაძე.

საკონკურსო კომისიის სამდივნო:

1. მარინა მიჩიტაშვილი;
2. თამარ ელიზბარაშვილი.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე